№ 102. მაისის 11, პარასკევი. 1866—1884 მაისის 11, პარასკევი. № 102.

„დროების“ რედაქცია—სიმონსონოვის ქუჩაზე, ნაზაროვის სახლში, 1-ლი კლასიკური გიმნაზიის უკან.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე; ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ Редакцію „Дроэба“.

ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ. 50 კ.; 10 თვით—8 მ.; 9 თვით—7 მ 50 კ.; 8 თვით—7 მ.; 7 თვით—6 მ.; 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვით—4 მ.; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: სტრიქონზე რვა კაპ.; განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს დაუბეჭდველ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი.

«ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების» მმართველობა ამით აცხადებს, რომ კვირას 13 მაისს, დილის 10 საათზე, იქნება საზოგადო წლიური კრება საზოგადოების წევრთა „წერა-კითხვის საზოგადოებისავე“ ზალაში, სიმონსონოვის ქუჩაზე, ნაზაროვის სახლში, პირველი კლასიკური გიმნაზიის უკან, „დროების“ რედაქციის ქვეშ, შემდეგის საგნების განსახილველად:

1) მოსმენა და დამტკიცება საზოგადოების საქმეთ-წარმოებისა 15 მაისიდამ 1883 წ. 15 მაისამდე 1884 წ.

2) მოსმენა და დამტკიცება მომავალის წლის შემოსავალ-გასავლის აღრიცხვისა და

3) ამორჩევა საზოგადოების ახალ წევრთა. (6—4)

## საყურადღებო სიტყვა.

თბილისი, მაისის 11-ს.

ყველის კარგად მოეხსენება, რომ ჩვენი სამღვდელოება დაცემულია. იგი მოკლებულია სიცოცხლეს, მხნეობას, თაოსნობას და ვერც ერთს თავის მოვალეობას ხეირიანად ვერ ასრულებს. ამ გვარი სამწუხარო მდგომარეობა სამღვდელოებისა წარმოსდგება ბევრ გვარი მიზეზების გამო, რაზედაც არა ერთხელ თქმულა განვითარებული სიტყვა ჩვენს ლიტერატურაში. მაგრამ ჩვენ ამ ჟამად სრულიად არა გვსურს ხელმეორედ გავმართოთ ამ მიზეზებზედ საუბარი. ჩვენ მხოლოდ გვინდა დავასახელოთ ერთი კერძო მიზეზი, რომლის მოსპობას შეუძლიან მეტ-ნაკლებობით შეამციროს დასახელებული საზოგადო ხენი.

მოგეხსენებათ, რომ საზოგადოების ცოცხალი და მხნე მოქმედება, მისი თაოსნობა დამოკიდებულია, სხვათა შორის, უმაღლესი განათლებისა პატრონთა სიმრავლეზედ. რავდენადაც უფრო მომეტებული რიცხვი ამ გვარი განათლებული პირებისა ურევია საზოგადოებაში, იმდენად ეს საზოგადოება უფრო მეტს მოძრაობას, მოქმედებას და ენერგიას იჩენს. წინააღმდეგ ამისა რავდენადაც ღარიბია იგი განათლებული პირებით, იმდენი ლატაკია მოქმედებით და ნაყოფიერებით. კერძო წოდებაზედაც ესევე უნდა ითქვას.

ჩვენი სასულიერო წოდება, სამღვდელოება მეტად ლატაკია უმაღლესი სწავლით განვითარებული პირებით. ამ გვარი პირების თითებზედ ჩამოთვლა შეგიძლიანთ, ისე მცირეა მათი რიცხვი. არამცთუ სოფლად, ქალაქებშიაც იშვიათად შეხვდები პირსა, რომელსაც სასულიერო აკადემიაში მიეღოს განათლება. მთელი ეპარხიალური სამღვდელოება ორს პირს ვერ დაასახელებს აკადემიაში შესრულებულს. თვით სჯულის მასწავლებლობის თანამდებობანი გიმნაზიებში უმეტეს ნაწილად უჭირავთ სემინარიელებსა, რადგანაც აკადემიელები არსად მოიპოებიან.

სილატაკე სასულიერო ლიტერატურისა, უკუღმართი მიმდინარეობა სასულიერო საქმეებისა, ჭაობური უმოძრაობა არის პირდაპირი შედეგი ამ ნაკლულევანებისა.

რადა ვართ ისე ლატაკნი ამ მხრით? სურვილის უქონლობაა მიზეზი, თუ უნიჭობა? არც ერთი და არც მეორე. სურვილიც ბევრსა აქვს აკადემიაში სწავლისა და ნიჭიცა; მაგრამ აკადემიაში წასვლას და სწავლას ხელის გამართვა, შემწეობა და ხარჯი ეჭირება, მხოლოდ ხელის გამმართველნი, შემწენი და ხარჯის გამომმეტებელნი არსად გვიჩანან.

რუსეთში არამცთუ ქალაქური, სოფლური სამღვდელოებაც სავსეა აკადემიელებითა. რადა? იმიტომ, რომ თვითეული სემინარიიდგან წელიწადში აკადემიებში იგზავნება სამი, ოთხი და მომეტებული სტუდენტი საეკლესიო ხარჯზედ. ხშირად ისიცა ხდება, რომ გულშემატკივარი რექტორი, ინსპექტორი, ან მასწავლებლები, ან კიდევ კერძო პირები თავის ხარჯით გზავნიან აკადემიაში ნიჭიერს სტუდენტებსა, თუ მათ წილად არა ხვდათ საეკლესიო ხარჯით გაგზავნა იმის გამო, რომ მათზედ ნიჭიერები სხვანი აღმოჩნდენ. ჩვენში? მთელს საექსარხოსოში მხოლოდ ერთი სემინარიაა, რომელიც უნდა გაუძღვეს დასავლეთის და აღმოსავლეთის საქართველოსა, თბილისის და ქუთაისის გუბერნიასა. მაგრამ ამ ერთად-ერთს სემინარიიდგანაც ხან სრულიად არ იგზავნება აკადემიაში არც ერთი სტუდენტი და თუ იგზავნება, უთუოდ ერთად-ერთი. წინედ ამ ერთად-ერთს სტუდენტს მაინც გზავნიდენ; მაგრამ უკანასკნელს წლებში სრულიად შესწყვიტეს გზავნა და წრეულსაც გული ეთანადრებათ გაგზავნაზედაო... რადა? ნუთუ იმიტომ, რომ ჩვენთვის საჭიროდ არ მიაჩნიათ უმაღლესი სწავლა და სთვლიან მავნებლად ჩვენთვის მას, რაც ყველა ადამიანთა საზოგადოებისათვის ერთს საუკეთესო საუნჯედ ითვლება. გვეუბნებიან: ვერ ვგზავნით იმიტომ, რომ სუსტად არიან მომზადებულნი და სემინარიას შეარცხვენენო. თუ უწინდელი სემინარია გზავნიდა იმისთანა სტუდენტებსა, რომელნიც უმაღლესი სწავლული ხარისხით ასრულებდენ აკადემიასა და უნივერსიტეტსა, გამოდიოდენ შესანიშნავნი მსწავლულნი და იღებდენ თვით უნივერსიტეტში პროფესორის ადგილებსა, ახლანდელს სემინარიას რაღა ღვთის რისხვა დაემართა?

მაგრამ უნდა გავსტყდეთ, რომ ეს მიზეზი ნახევრობით მართალია. აწინდელი სემინარიელები იმდენად სუსტნი არიან, რომ უწინდელნი მათ მასწავლებლებად გამოადგებოდენ. მაგრამ ვინ არის დამნაშავე ამაში, თუ არა ის წესები, რომელნიც ათი წლის წინად შემოიღეს სემინარიაში პერსკის რევიზიის გამო, რომელსაც რამდენიმე ღვარძლი მოეჩვენა და მათზედ გაჯავრებულმა მთელი ყანის გადაგლეჯა წამლად დაუნიშნა.

დიახ, აწინდელი სემინარიელებისაგან ვერ გამოვლენ ვერც დიმიტრი ბაქრაძეები, ვერც გერასიმე ქიქოძეები, ვერც პეტრიაშვილები, ვერც ცაგარლები; მაგრამ ბუნებითი ნიჭი მათ მაინც ნებას მისცემდა, რომ არ შეერცხვინათ სრულიად თავისი აღმზრდელი სემინარია. რუსეთის სემინარიელებიც ხშირად ვერ იჭერენ ეგზამენს აკადემიაში და ბრუნდებიან უკან თავიანთ აღმზრდელების ხარჯით; მაგრამ ამის გამო როდი სწყვეტავენ მათ გზავნას აკადემიაში, არამედ სცდილობენ ამ გვარად შერცხვენილის სემინარიების გაუკეთესოებასა. ჯერ თბილისის სემინარიელებს არ შეურცხვენიათ თავისი სემინარია და წასვლა-მოსვლის ხარჯი არ ამოულებინებიათ რექტორის, ინსპექტორის და მასწავლებლების ჯიბეებიდგან. მაშ რა საფუძვლით შეუკრეს მათ გზა? ნამდვილს მიზეზად პესმისტები სხვა რამეს ასახელებენ; მაგრამ ჩვენ მათ ყურს ნუ ვათხოვებთ

«დროების» ფელტონი მაისის 6-ს.

## კრება.

თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა ბანკის წევრთა.

სხდომა პირველი, მაისის 7.

არა ჩვეულებრივია წლევანდელი კრება თბილისის სათავად-აზნაურო ბანკისა: ამისთანა ინტერესი და თვისადმი მიზიდულება ქართლ-კახეთის საზოგადოებაში, მგონია, ჯერ არც კი აღუძრავს არც ერთს წინანდელ მორიგს კრებას!

სხდომებისათვის დანიშნულია არწრუნის თეატრის დარბაზი. დანიშნულს დროს მთელი თეატრი, პარტერ-ლოჟებ-რაიოკითურთ სავსე იყო წევრებით, თუ გარეშე მაყურებლებით, პარტერში ტევა აღარ არის წევრებისაგან, ლოჟებში მანდილოსნებისაგან, რაიოკში—გარეშე მაყურებელთაგან. ერთი იმერელი, რომელმაც თვალი გადაავლო ამ შეკრებილებას, მომიახლოვდა ამის დამწერს და, თითქო თავისი უგულითადესი ნამუსი გამანდო, ისე ჩამიფუჩუნა: „ჩვენი ქუთაისის ბანკის კრებათა მრავალ-წევრობიანობით მოგვქონდა თავი თბილისელების წინაშე, და დღეის შემდეგ კი—ამაშიაც თითი უნდა მოვკაკოთ»!...

ყოველი კრება ამ ბანკისა უფრო მრავალ-წევროვანია წინანდელზედ; ეს ამტკიცებს, რომ საზოგადოება თანდა-თან ბანკისადმი ინტერესს გრძნობს და მის საქმეს თავის საქმედ იხდის.

დილა-ადრიანად შეკრებილ საზოგადოებას თორმეტ საათამდის მოუნდა ცდა, ვიდრე ზედამხედველი კომიტეტის თავს-მჯდომარე სხდომას გახსნიდა. სხდომის გახსნისათანავე თავს-მჯდომარევე აცხადებს, რომ დღეს 90 ახლად ჩამოსულმა წევრებმა წარმოადგინეს ვექილობები, და რადგან მათი განხილვა ზედამხედველი-კომიტეტის საქმეა, ამიტომაც დღეს სხდომას ვხურავ, ხვალ დილის ათ საათამდის... ორიოდე პროტესტისა და მათზე პასუხის შემდეგ, სხდომა დაიშალა...

სხდომა მეორე, მაისის 8.

სხდომა გაიხსნა დილის 10 საათზე. წევრთა და გარეშე მაყურებელთა რიცხვი დღეს კიდევ მეტია... გუშინ, ვექილობების განხილვის ანგარიშის წაკითხვამ აღმოაჩინა, რომ ზედამხედველ კომიტეტს რამდენიმე მათგანი არ შეუწყნარებია, იმიტომ რომ ისინი მიცემულნი ყოფილან მამისაგან შვილისათვის და მსესხებლისაგან დამფუძნებლისათვის. თურმე, 1882 წ. საზოგადო კრებას გადაუწყვეტია, რომ წევრს არა აქვს უფლება ვექილობა მიანდოს არა წევრს და მსესხებელს—თავისი ხმა გადასცეს მეორე მსესხებელს, ანუ დამფუძნებელს... ამის შემდეგ თავს-მჯდომარემ აუწყა სხდომას, რომ დღეს წაიკითხება იმ სარევიზიო კომისიის ანგარიში, რომელიც დანიშნული იყო ბანკის საქმეების სარევიზიოდ ბანკის დაფუძნების დღიდამ დღევანდლამდეო...

დ. ავალიშვილი ჰკვირვობს, რომ მამას არ აძლევენ უფლებას შვილს გადასცეს თავისი ხმა და წარმოგზავნოს იგი თავის ინტერესების დასაცველად საზოგადო კრებაში. შვილზე უფრო მახლობელი ვინ არის მამისათვისა? ზოგადი კანონები ყოველთვის იწყნარებენ შვილისაგან მამის წარმომადგენლობას, როგორც მაგ. სასამართლოებშიო. იკვირვებს აგრეთვე იმასაც, რომ მსესხებელთ არ აძლევენ ნებას

და გამოვაცხადოთ ჩვენი იმედი, რომ წლევანდელი კურსიდგან სასულიერო მთავრობა აკადემიაში გაგზავნის ორს სტუდენტსა და შემდეგისათვის კანონად დასდებს, რომ ოთხი სტუდენტი სემინარიისა ყოველ წლივ იგზავნებოდეს რუსეთში უმაღლესი სწავლის მიღებისათვის.

თუ ვინმე იზევრებს ოთხი ქართველი სტუდენტის გაგზავნას ყოველ წლივ სასულიერო აკადემიაში, მათ მივუთითებთ სომხებზედ, რომელთაც საკუთარი ნაციონალური აკადემია აქვთ, საიდგანაც ოცობით და ორმოცობით გამოდიან უმაღლესი სწავლით განვითარებულნი პირნი და სომეხთა სასულიერო წოდებას დღითი-დღე ამაღლებენ. ჩვენ ხომ არც ნაციონალურ აკადემიას ვთხოულობთ, არც ოცი სტუდენტის გაგზავნას, არამედ ვითხოვთ, რომ ყოველ წლივ ჩვენი ქართველი ეკლესიისავე ხარჯით ოთხიოდე ქართველი სემინარიელი იგზავნებოდეს რუსულს აკადემიაში. ჩვენა გვგონია, რომ ამაზედ კანონიერი და ზომიერი სურვილი ძნელადღა იქმნებოდეს.

## შინაური ქრონიკა

— მკითხველს ეხსომება, რომ ამას წინად ჩვენს გაზეთში იყო ნათქვამი, ვითომ ს. შაქრიანში ყივანა-ხველა ყოფილიყოს გავრცელებული; ეხსომება აგრეთვე, რომ ზოგნი არ გვიჯერებდენ ამ ამბის. ოფიციალურად გამოძიებაც მოახდინეს, მაგრამ ამ გამოძიებამ ავადმყოფობა ვერა აღმოაჩინა-რა. ჩვენმა კორესპონდენტმა მოწმებზედ მიუთითა და, სხვათა შორის, სახელმწიფო ქონებათა გამგეს ზ. ნევსკიზედაც. ეხლა ერთმა ყოვლად სარწმუნო პირმა გადმოგვცა, რომ ნევსკის ჩვენებაზედ ხელმეორედ მოუხდენიათ ოფიციალური გამოძიება და პატარა სოფელს შაქრიანში 46 (ორმოცდა ექვსი) ყივანა-ხველით ავადმყოფი აღმოჩენილა. როდესაც უსაყვედურეს თურმე გლეხკაცებს—რატომ პირველში არა სთქვით ეგაო, იმათ უპასუხნიათ თურმე, ყივანა-ხველას ჩვენ ავადმყოფობად არა ვთვლიდითო.

ეს ამბავი ერთხელ კიდევ ამტკიცებს იმას, რომ გლეხ-კაცობა ძალიან უგულოდ აცხადებს, როდესაც რაიმე ავადმყოფობა აღმოჩნდება სოფელში, მეტადრე, თუ ეს ავადმყოფობა — «ბატონებია». იმედი გვაქვს, ამას იქით მაინც აღარავინ მოინდომებს ჩვენს უსაბუთოდ გამტყუნებას. ან რა სასახელოა ჩვენთვის, რომ ტყუილად ვაცხადებდეთ ამა და ამ სოფელში — ესა და ეს ავადმყოფობა გავრცელებულაო. შვეხალისება თუ?

— არაგვის პირიდგან გვატყობინებენ, რომ რამდენიმე სოფელი მეცადინეობს შეერთებულის ძალით ერთი სკოლა გახსნას. გლეხ-კაცობისათვის მხარი მიუციათ აზნაურთ ზანდუკელიანთ და სოფელს ეკრობიან პირობით, რომ თუ ისინი სკოლისთვის საჭირო ხარჯს გაიწერენ, მაშინ ბბ. ზანდუკლები ათის წლის განმავლობაში კომლზედ ოთხ ურემს შეშას მუქთად მისცემენ. ხსენებულს ურემს შეშაში გლეხ-კაცობა ხდილობს 50 კ., მაშასადამე, ბბ. ზანდუკლიანი თითო კომლს წელიწადში ორს მანეთს შეღავათს აძლევენ და ეს ხარჯი, რომელსაც გლეხ-კაცობა გაიწერს, მათთვის სრულიად შეუმჩნეველი დარჩება. ღმერთმა ჰქნას, რომ ეს კეთილი დასაწყისი, სანაქებო, როგორც მებატონეთათვის, აგრეთვე გლეხებისათვის, ჩქარა და კეთილად დაბოლოვდეს და სხვებისაგანაც მიუბაძავი არ დარჩეს.

— კვირას, ამ თვის ექვსს, მუშტაიდისკენ მიმავალი კონკის კონდუქტორების და შიგ მჯდომ ხალხის შორის ცოტა უთანხმოება მოხდა: კონდუქტორები ექვს კაპეიკსა სთხოვდენ ხალხს და ხალხი კი ერთხმივ ყვიროდა, რომ შაურის მეტს არ მოგცემთო. საქმე იქამდის მივიდა, რომ ვაგონები შუა გზაზედ შეაყენეს; არც ხალხი გადმოდიოდა ვაგონებიდამ და არც კონდუქტორებს მიჰყავდათ. ბოლოს კონდუქტორებმა გოროდოვოის დაუძახეს, რომ შემწეობა მიეცა, მაგრამ არც იმან ათხოვა მათს თხოვნას ყურადღება.

— გაზეთ „ნოვოსტი“ ს შეუტყვია, რომ ამ ზაფხულს კავკასიას ეწვევა რამდენიმე ფრანცუზი—არხეოლოგი. ამათ უნდათ შეისწავლონ ძველებური ქრისტიანული სახსოვრები, რომელნიც აქნობამდის გადარჩენილან კავკასიაში. ამ ექსპედიციაში მონაწილეობას იღებს, სხვათა შორის, ო. ი. მხატვარი.

— «ახალ მიმოხილვასა» სწერენ ეჩმიაძინიდამ: 4 მაისს, ღამის 12 საათზე, იყო ამორჩევა კათალიკოზისა. 32 ხმაში ნერსესმა მიიღო 27 და მელქისედეკმა 14.

## რუსეთი

— მთავრობას ხერსონის ერობის შემდეგი თხოვნა მისვლია: 1) რომ გლეხ-კაცებს შეეძლოთ სახელმწიფო ბანკის კანტორებიდან და განყოფილებიდგან შინაური საჭიროებისათვის ფულის სესხვა, მთელი სოფლის საზოგადოების თავდებობით; ამასთან გამომთვლელი (учетный) კომიტეტის მაგიერ ერობის გამგეობა იქნება, რომელსაც ექნება მინდობილი თავდებობის ქაღალდის სინამდვილის შემოწმება და იმის დამტკიცება, რომ თავდებ საზოგადოებას შეუძლიან უზღოს ბანკსა, თუ მსესხებელმა არ შემოიტანა ფული და იმისიც, რომ მსესხებელს მართლა შინაური საჭიროებისათვის უნდა ფული, და 2) რომ ამავე დანიშნულებისათვის გაიხსნას იმ სამაზრო ქალაქებში, სადაც სახელმწიფო ბანკის კანტორები და განყოფილებები არ არის, ცალკე ბანკები ერობის გამგეობაში, ან არა და მაზრის ერობას ესესხოს ფული ამ ნაირი ბანკების დასაარსებლად.

— რუსების კლუბს ვარშავაში კენჭით გაუშავებია ევგენი პოჩეტოვი, რომელიც «ნოვოე ვრემიაში» სწერს ვარშავიდან კორესპონდენციებს და ამ კორესპონდენციებში პოლშელების წინააღმდეგ აზრებს ავრცელებს.

— «რუსკი კურიერის» სიტყვით, აკრძალული იქნება გლეხ-კაცების ნადელის მამულის იმ პირთათვის გადაცემა, რომელნიც სოფლის საზოგადოებას არ ეკუთვნიან, თუნდა ეს მიწა მემკვიდრეობით გადასაცემიც იყოს. ამიტომ კანონში უნდა ჩაუმატონ, რომ იმ პირთ, რომელნიც სოფლის საზოგადოებას არ ეკუთვნიან, ნება აქვთ მიიღონ გლეხ-კაცის სიკვდილის შემდეგ ის მიწა, რომელიც ამ უკანასკნელს შეუძენია ნადელის გარდა; ნადელი კი არ გადაეცემათ, თუნდა პირ-და-პირი მემკვიდრეებიც იყვნენ.

— ჩერნიგოვის, პოლტავის და სხვ. მომიჯნავე გუბერნიებში დიდი მიწის ნაკლულევანება არის და გლეხ-კაცები არჩევენ ცხრა მთას იქით გადასახლებას, აქ სიმშილით სიკვდილს. აი რას ამბობს ამ გადასახლებაზე კიევის გაზეთი «ზარია»: «ეხლა ერთ სოფელს ვერ იპოვით, სადაც უმამულო გლეხ-კაცები არა ნატრობდენ იმ დალოცვილ ქვეყანაში გადასახლებას, სადაც, იმათის აზრით, ყველაფერი უხვად არისო. „ამური“, იმათის წარმოდგენით, აღთქმის ქვეყანაა, სადაც «თაფლი და რძე მდიხარეობს». არც იციან, რა ქვეყანაა ესა, ან რამ სიშორეზედ არის აქედგან; არც ის იციან, რა მწუხარებას და ტანჯვას გამოივლიან ხოლმე ამურზე წამსვლელნი, დადიან სასამართლოებში და სთხოვენ—ნება მოგვეცით გადავსახლდეთ ამურზეო, მარტო,—ერთი სოფლიდან 40 კომლი აპირობს წასვლას. არც ერთს ამათგანს მიწა სრულებით არა აქვს. თუმცა ყველანი ურჩევენ,—ნუ წახვალთო, ზევრიც ბრუნდება უკან, რომ გზაში ტანჯვა ვერ აუტანია, მაინც მიდის და მოდის ხალხი.

— გაზეთ „ეხოსა“ სწერენ ქ. ზარაისკიდან: მოქალაქეები ძალიან შეშინებულნი არიან იმით, რომ ქალაქის სხვა და სხვა ადგილას სახლებს და ლობეებს ვილაცები ცეცხლს უკი-

---

თავისი ხმა მიანდონ მეორე წევრს ბანკისას.

ილ. ჭავჭავაძე ამბობს, რომ თ-დი ავალიშვილი პრინციპიალურად შეეხო საქმეს და ამ რიგად საქმის განხილვა დღეს არ შეიძლებაო. ახლა მხოლოდ იმის განხილვის ნება გვაქვს—თუ რამდენად სამართლიანად იქმნა მოხმარებული წინანდელის ზოგადის კრების გადაწყვეტილება, და თვით ამ გადაწყვეტილების არსებას კი ვერ შევეხებითო. 1882 წ. ზოგადის კრებისაგან გადაწყდა, რომ წევრს ბანკისას შეუძლიან გადასცეს თავისი ხმა მხოლოდ ამავ ბანკის წევრსავე, და ცოცხალის მამის დროს კი შვილი არ არის წევრი ბანკისა, მაშასადამე, მამა ვერ წარმოგზავნის თავის ვექილად ზოგად კრებაზე შვილს.

რამდენიმე ხმა ერთად ეკითხება კომიტეტს: წინანდელ კრებაში რად არ ადევგით მაგ გზასაო? თავს-მჯდომარე უპასუხებს, რომ თუ მაშინ არ დავადევგით—შეცდომა მოგვსვლია, და შეცდომის გასწორება გვიან არ არის არასოდესო.

გ. გაბაშვილი. ეს ნამდვილია, რომ შარშან შვილებიც მიღებულნი იყვნენ მამათ მაგიერ სხდომებზე და წრეულაც იმიტომ მოვიდენ ვექილობებით. რა იმათი ბრალია, რომ არც მაშინ და არც დღემდის არ სცოდნიათ ის გადაწყვეტილება შარშან-წინდელის ზოგადი კრებისა, რომელიც კომიტეტს უნდა გამოეცხადებინა საყოველთაო საუწყებლად, მაგრამ არ გამოუცხადებია კი. ყოველ შემთხვევაში უსამართლობა იქნება დღეს მათთვის ხმის წართმევა. ადრე, რამდენიმე დღის წინად, მაინც რომ გამოგვეცხადებინათ მათთვის ეს ცვლილება ბანკის წესებში—ისინი შეკრებდენ 50 კაცს და დროზე განცხადებას მოაცემინებდენ თქვენთვის, რომ ეს საქმე განეხილა ამ ზოგადს კრებას, რომელიც, ეჭვი არ არის, მიანიჭებდა მათ მათს კანონიერსა და სამართლიანს უფლებას. დღეს კი მათ ეს არ შეუძლიანთ. რად უნდა აგონ მათ პასუხი, რომ ბანკმა წინდაწინვე ეს არ გამოაცხადა? თუ შეიძლებოდეს, ამ წლევანდელს კრებაზე კვლავ მივიღოთ მამების ვექილობებით შვილები და შემდეგ კი ზოგადს კრებას განვახილვინოთ ეს საქმე...

თავს-მჯდომარე ეკითხება კრებას: მიიღებს იგი გ. გაბაშვილის წინადადებას, თუ არა? ხმები: მივიღოთ, მივიღოთ!

ამის შემდეგ სარევიზიო კომისიის ანგარიშის კითხვა დაიწყო ბ-ნმა დ. ყიფიანმა, რომელიც ყოველ მხრივ ჩინებულად არის დაწერილი. ანგარიშს ეტყობა თვალ-საჩინოდ, როგორც დახელოვნებული სალიტერატურო კალამი, ისე საბანკო საქმეთა ზედ-მიწევნით ცოდნაც. ეს ჩინებული, სინიდისიერი ანგარიში არის ნაყოფი სარევიზიო კომისიისაგან ხუთი თვის განმავლობაში ყოველ დღე ხუთ-ხუთი საათის შრომისა. კომისიას არ დაუტოვებია არც ერთი პწკარი ცხრა წლის განმავლობაში შედგენილთ საბანკო მოქმედებათა წიგნებისა, რომელიც არ განეხილოს მიუდგომელის რევიზორის ყოვლად მკაცრისა და ყოვლად სამართლიანის თვალით. ამის გამო, იმდენად საყურადღებოა, მნიშვნელობიანი და მახსოვრობის ღირსი ეს ანგარიში, რომ ჩვენ აუცილებელ საჭიროებად მიგვაჩნია, რომ მოკლედ მაინც გავაცნოთ იგი მკითხველ საზოგადოებას.

(შემდეგი იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა



დებენ. ცეცხლის წაკიდებამდის შენობას ნავთს ასხამენ. ცეცხლის მქრობელი კამანდა მალე აქრობს, თორემ ქალაქს დიდი ზარალი მიეცემოდა. როგორც ამბობენ, ამას ძალიან სჩადიანო ის პირნი, რომელნიც პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ არიან მიცემულნი სხვა და სხვა სისხლის დანაშაულობისათვის. ამას იმიტომ სჩადიანო, რომ ლუკმა ვერსად უშოვიათ და სიმშილი აწუხებთ; მოწყალებას არავინ აძლევს, სამუშაოდ არავინ იჭერს, სახელმწიფო ხარჯი ამათ არ ეძლევათ, სახლი არა აქვთ, ასე რომ გაჭირებამ სული ამოართო და თითქო ამითი ჰყრილობენ ჯავრსაო.

— ამ წელს, სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს განკარგულებით, უმაღლესი სამეურნეო სასწავლებლების სტუდენტები და საშუალო სამეურნეო სკოლების შეგირდები ზაფხულობით რუსეთის სხვა-და-სხვა ადგილებს მოივლიან, პროფესორების ხელმძღვანელობით, და ამ რიგად შეისწავლიან სხვა-და-სხვა გუბერნიების ჰავასა და ნიადაგს. სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს დაუნიშნავს ამისთვის საჭირო ფული. რკინის გზებზე მოსწავლეები და მასწავლებლები მუქთად ივლიან.

— „ოდესის ფურცელსა“ სწერენ ელისავეტგრადიდგან: «იმ უწესოების შემდეგ, რომელიც ჩვენს ქალაქში მოხდა, აქ მცხოვრები ებრაელები სრულებით მიდიან აქედგან, ზოგი პალესტინაში და ზოგი ამერიკაში. ამ წელს 40 სახლობამდის წავიდა. აპრილის 15-ს კიდევ 5 სახლობა გაემგზავრა. უფრო ხელოსნები მიდიან: მკერვლები, ხარაზები და სხვ. ნათესავებს, რომელნიც წინად არიან წასულნი, ფული გამოუგზავნიათ ზოგიერთისთვის. ტირილი მოუვა ადამიანს, რომ უყურებს ამათ ნათესავებთან გამოთხოვნას; მაგრამ ვაჟკაცებს კი უხარიანთ წასვლა, რადგანაც აქ ცხოვრება უძნელდებოდათ. მართლადაც, რაც უფრო ღარიბი ხალხია ჩვენს ქალაქში, სულ ებრაელებს ეკუთვნის. 40 ათას მცხოვრებლებში აქ 10 ათასი ებრაელია და მომეტებული ნაწილი ღარიბ-ღატაკი.

## უცხოეთი.

### სოციალისტების შესახებ კანონზე სჯა გერმანიის რეიხსტაგში მაისს 9-ს.

— მაისის 9-ს (ახ. სტ.) გერმანიის რეიხსტაგმა განაახლა თვისი სხდომა და განაგრძო სოციალისტების შესახებ კანონზე სჯა. ამ დღეს იმოდენა ხალხი შეკრებილა რეიხსტაგის დარბაზში, რომ ტევა აღარა ყოფილა, რადგანაც ყველას სცოდნია, რომ ამ დღეს თავადი ბისმარკიც მიიღებდა ბაასში მონაწილეობას. ეს მოლოდინი მალეც შესრულებიათ: შემდეგ რამდენიმე ორატორის ბაასისა, წამომდგარა თავადი ბისმარკი და, სხვათა-შორის, წარმოუთქვამს შემდეგი:

«ზოგიერთთ ორატორთ წარმოსთქვეს აქა, რომ 1881 წ. ბ. ვინდტგორსტმა წინადადება შემოიტანა, რათა კანცლერს (ესე იგი მე) სხვა სახელმწიფოებთან ერთად მიეღო ზომანი სოციალისტების ბოროტ-განზრახულებათა წინააღმდეგაო. მმართებლობას ეს საქმე უყურადღებოდ არ გაუშვია. 1881 წ. იმპერატორისაგან მივიღე მე საკუთრად მისგან ხელ-მოწერილი წიგნი (რესკრიპტი), რომელსაც ეხლავე წაგიკითხავთ, როგორც ისტორიული მნიშვნელობის მქონე საბუთს... «13 (1) მარტს მომხდარი ბოროტ-მოქმედება მარწმუნებს მე, რომელ დროა მოისპოს ის აზრი, ვითომც შესაძლებელი იყოს პოლიტიკური განზრახვით ხელმწიფის მკვლელობის გამართლება. ამ აზრის მოსპობა მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ ევროპის სხვა დიდნი სახელმწიფონიც დაგვეხმარებიან. ამ საქმეში განსაკუთრებით ინგლისის, შვეიცარიის და საფრანგეთის მომხრობაა საჭირო; აუცილებლად საჭიროა დავითანხმოთ ეს სახელმწიფონი, რომ გამოსცენ კანონი ამ ურიგობის წინააღმდეგ. ეს ადვილი შესასრულებელი არ არის, რადგანაც ამ სახელმწიფოთ ჯერ არა ჰქონიათ ამ გვარი კანონები. მაგრამ ის შემთხვევანი, რომელნიც ამ უკანასკნელს ჟამს ინგლისში ხდებიან, იძულებულ ჰყოფს ამ სახელმწიფოს, ცოტათიც არის, შესცვალოს თვისი კანონები და უფრო თავ-გამოდებით იმოქმედოს ბოროტ-მზრახველთა შესახებ. ამ გარემოებას შეუძლიან ინგლისი მოგვიმხროს. საფრანგეთთან და შვეიცარიასთან უფრო ძნელია მორიგება... თქვენ კარგად უწყით, რომ პოლიციური საშუალებით შეუძლებელია წინასწარ განრიდება ბოროტ-მოქმედებისა. აი კიდევ ახალი საბუთი იმის დასამტკიცებლად, რომ საზოგადო სიკეთე და მყუდროება საშიშროებაში არიან, თუ ევროპის სახელმწიფონი არ მიჰყოფენ ხელს ერთად მოქმედებას ბოროტების წინააღმდეგ».— თქვენ კარგად ხედავთ, რომ ეს ისევ ის აზრებია, რომელნიც ბ. ვინდტგორსტმა წარმოსთქვა. იმპერატორის წერილიდგან ნათლადა სჩანს სახელმწიფოთა თანხმობით მოქმედების საჭიროება და ისიც, რომ ერთ რომელიმე სახელმწიფოს მოდინამიტეებზე თვალ-ყურის ჭერა საკმაო არ არის, მით უფრო, რომ ასაფეთქებელნი ნივთიერებანი მზადდებიან იმისთანა მასალებისაგან, რომელთა შოვნაც ყველას შეუძლიან.

„ჩვენ დავიწყეთ სახელმწიფოებთან ამ საგანზე მოლაპარაკება. რუსეთის მმართებლობა მაშინათვე დაგვეთანხმა და იმანაც თავის მხრივ მოუწოდა სხვა სახელმწიფოთ კონფერენციაზე, რომელიც ბრიუსელში უნდა მომხდარიყო. გერმანიამ და ავსტრიამ მაშინათვე თანხმობა გამოაცხადეს რუსეთის წინადადებაზე. საფრანგეთმა გამოაცხადა — მე თანახმა ვარ კონფერენციაში მონაწილეობის მიღებაზედ, თუ ინგლისიც თანხმა იქნებაო; მაგრამ ინგლისმა უარ-ჰყო ეს წინადადება და, რასაკვირველია, საფრანგეთიც აღარ დათანხმდა. შვეიცარიამ და დანარჩენ სახელმწიფოთაც ამ გვარადვე გამოაცხადეს, რომ იმათთვისაც საჭიროა ორთავე დასავლეთის სახელმწიფოთ მიიღონ მონაწილეობა კონფერენციაში. ჩვენ მაინც კიდევ დიდ-ხანს განვაგრძეთ ამ საქმის შესახებ მოლაპარაკება. ჩვენ გვინდოდა, რომ ავსტრია, გერმანია და რუსეთს შუა მაინც მომხდარიყო სრული თანხმობა და სახელმძღვანელო პრინციპები გამოერკვიათ. ჩვენ ვიბრძოდით იმ შემცდარი აზრის წინააღმდეგ, ვითომც პოლიტიკური მკვლელობა გასამართლებელი და მისატევებელი იყოს. ეს რომ ასე იყოს, მაშინ პოლიტიკური ქურდობა, ყალბი ბილეთების კეთება და სხვა ამ გვარნი ბოროტ-მოქმედებანიც უნდა გავამართლოთ. არ არის ისეთი დანაშაულობა, რომლის გაქარწყლებაც არ შეიძლებოდეს პოლიტიკური მიზეზებით. მოლაპარაკება პირველად მარტო რუსეთსა და გერმანიას შუა იყო და შემდეგ ავსტრიაც შეუერთდა მათ. თქვენ თვითონ კარგად ჰხედავთ, რომ მმართებლობა იმავ თავითვე, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ცდილობდა გაერიგებინა რაიმე ამ საქმეში. გერმანიის მმართებლობამ ისიც განსაჯა — შეიძლებოდა, რომ მარტო იმას გამოეცა მოდინამიტეებზე კანონი, თუ არა, და დარწმუნდა, რომ ეს ყოვლად შეუძლებელი იყო, თუ სხვა სახელმწიფონიც არ გამოსცემდენ ამ გვარსავე კანონებს. ერთს სახელმწიფოს არაფრის გარიგება არ შეუძლიან ამისთანა საქმეში. მე თვითონ ავად-მყოფობისა გამო 1881 წლის ბოლოდგან ველარ ვიღებდი მონაწილეობას პოლიტიკურ საქმეებში და ამასთანავე 1880 წლიდგან გადაწყვეტილი მქონდა იმედი და აღარ მეგონა, თუ რეიხსტაგი ოდესმე დათანხმებოდა ამ გვარი კანონის გამოცემაზედ. ეხლა, რადგანაც თვით პალატამვე ითავა ეს საქმე, ჩვენც სიამოვნებით ვისწრაფით მისი სურვილის შესრულებას“.

მასუკან კანცლერმა კარგა-ხანს ილაპარაკა ამ გვარი კანონის საჭიროებაზედ და შემდეგ განაგრძო: «ზოგიერთთ ორატორთ დაადარეს ერთმანეთს ნემეცების და რუსების შინაური მდგომარეობა, ყოფა-ცხოვრება; მაგრამ, უნდა ვთქვათ, რომ მათ შორის მცირედი მზგავსებაც არ არის და არც შეიძლება, რომ იყოს. რუსეთის მუშა-ხალხი მონარხიის მომხრეა; რუსის მუშა იმ წამსვე მოჰკლავს ნიჰილისტს, თუ შეიტყო, რომ ნიჰილისტია იგი. ნიჰილისტები გამოდიან განათლებული, ანუ ნახევარ-განათლებული წრიდამ. ისინი იკრიფებიან იმ ღარიბ ყმაწვილ-კაცობაში, რომელიც უმაღლესი სასწავლებლისადმი მიილტვის. როდესაც ამისთანა ჭაბუკს, რომელიც — ვინ იცის გუბერნატორობასაც კი ჰფიქრობდა, არ შეუსრულდება იმედი, მაშინ იგი სხვა გზას ადგება და მზად არის ღამის დარაჯადაც კი წავიდეს. რუსის ნიჰილისტებში არც ერთი მუშა არ ურევია; რუსის მუშა-ხალხს ჯერ არ შეჰხებია ნაჰილიზმი. მე იმას არ ვდავობ, რომ მუშა-ხალხის შეგულიანება არ შეიძლებოდეს. როდესაც ბლინდმა განიძრახა იმ მინისტრის მოკვლა, რომელიც ეხლა თქვენს წინაშე დგას. ბლინდი არ იყო მუშა, — იგი იყო სტუდენტი. პროგრესისტების თეორიებმა განაძრახვინეს მას ჩემი მოკვლა. პროგრესისტების ჟურნალ-გაზეთებმა ბლინდის მხარე დაიჭირეს და ძლიერა ნანობდენ, — მე ისე ზრდილობიანი არ ვიყავ, რომ თავი მომეკვლევინებინა მისთვის (სიცილი). ვინ იცის, რა არ შეთხზეს მაშინ ჩემზედ! იმასაც კი ლაპარაკობდენ, ვითომც მე ჯავშანი მეცვა და ასრე სქელი იმიტომ ვიყავ. პოლიციის მცირე მოხელეთაც კი კუდი გამოჰყვეს და თანამოზიარედ გაუხდენ მათ (სიცილი მარცხნივ). თქვენ იცინით, ბატონებო, რომ ამ სხდომის ანგარიშში ჩაურთავათ სიტყვა სიცილი და ამით შთაბეჭდილება დაასუსტოთ; მაგრამ, უკაცრავად კი ნუ ვიქნები ამ სიტყვისთვის და მე მაგ სიცილს ვუწოდებ ძალ-დატანებით სიცილს. მეც, როცა ჩემს სახლში მოგიგონებთ, მხიარულად შევიქმნები ხოლმე, მაგრამ აქ კი დინჯად და დარბაისლურად მიჭირავს თავი. ყოველივე ესე იმიტომ მოხდა, რომ მე ჯერ კიდევ ცოცხალი ვარ..... რუსეთის საქმე სულ სხვა არის. სოციალ-დემოკრატთა და რევოლიუციონერებს შორის განსხვავება არა არის-რა.

შემდეგ ბისმარკი შეეხო იმას, თუ რეიხსტაგი სოციალისტების შესახებ რა გადაწყვეტილებას უნდა დაადგეს, განაცხადა მმართებლობის პროგრამა და თვისი საუბარი შემდეგის სიტყვებით დააბოლოვა: „მიეცით მუშას პური, ე. ი. სამუშაო, ვიდრემდის ჯანმთელია და მუშაობა შეუძლიან, დაეხმარეთ მას, როდესაც ავად არის, გაიკითხეთ, როდესაც დაბერდება, ან დამახინჯდება, და მაშინ აღარ იქნებიან საჭირონი განსაკუთრებულნი კანონნი.»

## ტელეგრამები

(„ჩრდილოეთის სააგენტოსი“)

მაისის 8.

**პარიჟი.** მტკიცდებიან ის ხმები, ვითომც საფრანგეთს განძრახვა ჰქონდეს მაროკოში სამხედრო ექსპედიციის გაგზავნისა.

**მადრიდი.** კანოვოსმა გამოაცხადა კორტესთა უმეტესობის კრების წინაშე სამინისტროს პროგრამა და გამოსთქვა ის აზრი, რომ იგი იქნება მომხრე ყოველ-გვარი თავისუფლებისა და პროგრესისა, თუ კი უკანასკნელნი წინააღმდეგნი არ იქნებიან საზოგადოებრივის წეს-წყობილებისა; აღუთქვა აგრეთვე რომ იგი ყოველთვის მონარხიული დასების სურვილზედ ივლის

და არავითარი კავშირი არ ექნება ეხლანდელ დაწესებულებათა მტრებთან.

**ბუდაპეშტი.** ვენგრიის სეიმის სესია დაიხურა სატახტო სიტყვით, რომელშიაც გამოცხადებულია მადლობა სეიმისადმი, რადგანაც მან მიიღო რკინის გზის გაყვანის შესახებ დამატებითი კანონი; ცხადია, რომ აქ ლაპარაკია იმ გზაზედ, რომელიც უნდა ვენგრიიდგან გალიჩინზე გაატარონ და რუსეთის საზღვრამდინ მიიყვანონ. ეს გარემოება იმას ამტკიცებს, რომ სეიმს თუმცა მშვიდობიანობა სურს, მაგრამ მზად არის მიიღოს იმპერიის უშიშროებისათვის საჭირო ზომები. ბოლოს იმპერატორი აცხადებს, რომ ავსტრო-ვენგრიას ყველა სახელმწიფოებთან მეგობრული დამოკიდებულება აქვს და იმედია, რომ მშვიდობიანობა ხანგრძლივი იქნებაო.

მაისის 9-ს.

**მადრიდი.** კორტესების სხდომები დაიწყო სატახტო სიტყვით. სიტყვაში ნაჩვენებია ყველა ის სიძნელე, რომელთანაც მმართებლობას დიდი ბრძოლა სჭირდება; ამასთანავე გამოცხადებულია იმედი, რომ წესიერების დამარღვეველთა დააწყნარებენ, ისე რომ ამისათვის განსაკუთრებული ზომების ხმარება საჭირო არ იყოს. ბოლოს ნათქვამია, რომ ესპანიას ჩინებული დამოკიდებულობა აქვს ყველა სახელმწიფოებთან.

**პარიჟი.** ფერიმ წაიკითხა დეპუტატთა პალატაში ჩინეთთან შეკრული პირობა; სამი უკვე ცნობილის მუხლების გარდა, პირობაში მეოთხე მუხლიც არის, რომლის ძალითაც ანამთან პირობით შეკვრის დროს ყველა უწინდელი პირობები უნდა გაუქმდენ.

**ტონკინი.** გადაწყვეტილია, რომ საფრანგეთი იმისთანას არაფერს იტყვის, რაიცა ჩინეთს შეურაცხებას მიაყენებს. ფერიმ აცნობა აგრეთვე რომ ჩინეთთან შეუკრავთ კონვენცია, რომლის ძალითაც ჩინელნი მოვალენი არიან დასცალონ ტონკინი. მაისის 29-ისათვის პალატაში უნდა წარადგინონ კანონ-პროექტი უცხო ქვეყნებიდამ შესატან ხორბალზე და საკლავ საქონელზე ბაჟის მომატების შესახებ.

**კენიგსბერგი.** რუსეთის იმპერატრიცა მშვიდობით მოვიდა აქ დღეს დილის 7 საათზე და 35 წამზე: მის დიდებულებას მიეგებნენ ვოგზალზე: რუსეთის ელჩი, თავადი ორლოვი, პრუსიის უმაღლესი მთავრობა და რუსეთის გენერალური კონსული. მის დიდებულებას მიართვეს ვარდის თაიგული, რომელსაც ეხვია იმპერატორის სახლეულების ატლასის ლენტი, ყვავილებით შემკული; 7 საათზე და 50 წამზე იმპერატრიცა ბერლინში წავიდა.

**პარიჟი.** მმართებლობის კანონპროექტი თხოულობს მოემატოს შემოსატანი ბაჟი: ფქვილს 1 ფრან. და 60 სანტიმიდგან 3 ფრან. და 75 სანტიმამდინ; ხარების და ცხვრების ბაჟი ერთი-ორად გახდეს, ხოლო ხორბლის ბაჟი კი ისევ უწინდელი დარჩეს.

მაისის 10-ს

**პეტერბურგი.** ხელმწიფე იმპერატრიც ამაისის 7-ს რუმპენგეინში წაბძანდა. მის დიდებულებასთან ერთად გაემგზავრენ დიდი მთავრინა კნეინა ალექსანდრეს ასული და ეკატერინე მიხეილის ასული.

**ბერლინი.** რუსეთის იმპერატრიცა აქ მშვიდობით მობძანდა წუხელის 8 საათზედ. იმპერატორი ვილჰელმი ვოგზალში მოვიდა და იმპერატრიცას ვაგონშივე მიესალმა. იმპერატრიცის მატარებელი მხოლოდ 10 წამით შეჩერდა ბერლინში.

**ცეტინიე.** ბანკეტზედ პოდგორიცაში მთავარმა ნიკოლოზმა დალია სულთანის სადღეგრძელო და დაუმატა რომ ძვირად აფასებს მის მეგობრობას; ოსმალეთის მინისტრმა—პრეზიდენტმა პასუხად დალია სადღეგრძელო მთავრისა.

**პარიჟი.** ტონკინში მყოფ ჯარის უფროსს გაუგზავნეს ბრძანება ტელეგრამით, რომ ზღვის ქვეითა-ჯარი მადაგასკარში გამოისტუმრონ.

**ნიში.** გუშინ სკუპშჩინა გახსნა ხელმწიფემ სატახტო სიტყვით. მასში ჰხატავდა იგი მეგობრულს დამოკიდებულებას ყველა სახელმწიფოებთან, მეტადრე გერმანიასა და ავსტრიასთან. სხვათა კანონის პროექტთა შორის, რომელნიც უნდა სკუპშჩინის მიერ გასინჯულ იქმნენ, სატახტო სიტყვა იხსენიებს კანონის პროექტს, რომელიც იწონებს განსაკუთრებულს ზომებს, მთავრობისაგან მიღებულებს უკანასკნელი აჯანყების დასამშვიდებლად.


# განცხადებანი

საქართველო-იმერეთის სომეხთ-გრიგორიანის ეპარქიალური კონსისტორიის დაწესებულებაში დანიშნულია.

## ვაჭრობა

დღეს მაისის 11-ს ხელმეორედ ვაჭრობის მოუხდენელად იჯარით გაცემაზედ იმ ბაღისა, რომელიც ეჩმიაძინის მონასტერს ეკუთვნის და მდებარეობს გერაზედ ქ. თბილისის პირველს განყოფილებაში. (3—3)

გამოვიდა და ისყიდება:

**განკიცხული.**

მოთხრობა

ა. მ. მოჩხუბარიძისა (ყაზბეგისა)

ფასი ათი შაური.

ისყიდება: თბილისში, «დროების» რედაქციაში და შაფერდოვის წიგნების საგენტოში.

ქუთაისში. ჭილაძის მაღაზიაში.

თელავში. ბ. როსტომაშვილთან.

ფოთში: ბ. ხუმარაძის მაღაზიაში. (20—1)

## მუნჯი

**ილარიონ მარკოზის-ძე ნადარეიშვილი,**

ყმაწვილი 14 წლისა

## დაიკარგა

და არ იცის კაცმა სად წავიდა; მშობელი ეძებს და სთხოვს პატივცემულ საზოგადოებას ვინც იცის თუ სად არის ხსენებული მუნჯი აცნობოს აბაშის სტანციაში ათანასე ნადარეიშვილს. (3—2)

# ინგლისის მაღაზია

Maison de confiance

| შეადარეთ ჩვენი ჩაი | მოსკოვის ჩაის |
|---|---|
| 1 მ. 10 კ. | 1 მ. 40 კ. |
| — — 1—20 | — — 1—60 |
| — — 1—40 | — — 1—80 |
| — — 1—60 | — — 2— ,, |
| — — 1—80 | — 2 — 50 |
| საუკეთესო 2—,, | . — 3 — ,, |

იქვე ისყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრაოტები, ჭურჭელი, ჩაიდნები, გასაღებები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი, შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგნეზია, უნაგირები, კლეონკა, წინდები—კაცისა და ქალისა, ხელ-სახოცები, მაკინტოშის კალენკორი—სულ ყველაფერი 25-დამ 50 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1,000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ იხდის. (100—23)

**ივერიის რედაქციისაგან**

მიიღება ჯერ კიდევ ხელის-მოწერა ჟურნალს

## „ივერიაზედ“

ფასი მთელის წლით 7 მან., სოფლის მასწავლებელთათვის—5 მან. რამდენიმე სრული ეგზემპლიარი წარსულის წლის „ივერიისა“ უკვე გაიყიდა და ამისათვის მისი დაბარება აღარ შეიძლება. (10—2)

ინგლისის მაღაზიაში



თმის-ამომყვანი

ამაგრებს თმას და აღრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ. (100—28)

მაკ-მასტერი

აქვე ისყიდება ქინის პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან., სნოტკები თავის ტკივილის მოსასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ.

საკლობუსო 

კალმები

რომლებითაც შეიძლება წერა სულ მსხვილ, უსუფთაო ქაღალდზე. ერთად ერთი საგენტო ინგლისის მაღაზია. იქვე აუარებელი სხვა-და-სხვა გვარი კალმები ყოველის «ხელისათვის»—25% იაფად, ვიდრე სხვაგან. იქვე: მელანი, ქაღალდი, კანვერტები, რვეულები, ლაქი, კარანდაში, პენალი, კალმები, ბუმაჟნიკები, პორტ-სიგარები, ალბომები, რამკები, მაკრატლები, სამართებლები, სანთელი, სალესი, ცარაშკები ჭურჭლის საწმედად (ბორაკსი) თეთრეულისათვის, პატარა ხალები იატაკისათვის, კლიონკები, ტაშტები, სავარძლები, სარკეები, საკარცხლები, ბუზმენი, ზარები, ბინოკლები რულეტკები, კატერპასები, მზის-საათები, კომპასები, ტერმომეტრები, მეწვები, ჩემსები, მაგნიტები, სვისტოკი, პომოჩი, ქამრები, სარტულები, პრობკები, საპრობკეები, კრანები, ფილტრები, შნოტკები, თავისა; ტანისამოსისა, ცხენისა და პატენტიანი მაკინტოშები, კრაგები, საქიმო ქაღალდი კატერ-კლოზეტისათვის და სხვ. და სხვ.

პატაუკი—20 კ. (100—86)